


2017



საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი
ბიულეტენი №10



პერიოდული გამოცემა
ზაფხული 2017

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისაღება	3
2. მთავარი მოვლენა	4
2.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიშის პრეზენტაცია	4
3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა	5
3.1 განხორციელებული ვიზიტები	5
3.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები	5
3.1.2 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი	5
3.1.3 ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი	5
3.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან	6
3.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა	6
3.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება	7
სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების სასწავლო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში	8
4. ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულებების შესახებ	8
5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა	9
6. საკანონმდებლო მიმოხილვა	11
6.1 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა	11
6.2 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში	12
7. ფოკუსი	12
7.1 შშმ პირთა პანსიონატების მონიტორინგი	12
8. ექსპერტის მოსაზრება	13
9. საერთაშორისო სიახლეები	15

1. სახალხო დამცველის მისალმება



საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მე-10 ბიულეტენში წარმოგიდგენთ ინფორმაციას ჩვენს მიერ ზაფხულის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში გავაცანით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს; რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის სისტემის დახვეწაზე მეორე სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელი ბენ ბაკლენდი უძღვებოდა.

ამავე პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“ მონიტორინგი ჩატარეს N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში. შეამოწმეს ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორები და პოლიციის სამმართველოები; გაესაუბრნენ N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულებს და ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი გასწიეს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ბიულეტენში გაეცნობით N7 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვას, მიიღებთ ინფორმაციას N3 პენიტენციურ დაწესებულებაში 2015 წლის ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. ვისაუბრებთ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებზე, ამ დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით პატიმრობის კოდექსში შეტანილ ცვლილებებზე. თანამშრომელთა სწავლების ნაწილში მოცემულია ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების ვიზიტის შესახებ სომხეთის რესპუბლიკაში.

ნომრის ფოკუსს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებში განხორციელებული მონიტორინგი და იქ არსებული გამოწვევები. საერთაშორისო სიახლეებში გაეცნობით 26 ივნისს წამების მსხვერპლთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაეროს ექსპერტების მიერ გაკეთებულ განცხადებას.

ბიულეტენის წინამდებარე ნომერში ასევე იხილავთ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სფეროში წამების პრევენციის ასოციაციის მრჩეველის ბენ ბაკლენდის მოსაზრებებს „დიალოგი: საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტურობის გასაღები“.

2. მთავარი მოვლენა

2.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიშის პრეზენტაცია



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2017 წლის 26 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე უცხო ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში წარუდგინა. ღონისძიება წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ყოველი წლის 26 ივნისს აღინიშნება.

ანგარიში მიმოიხილავს დახურული ტიპის დაწესებულებებში, კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში, შშმ პირთა პანსიონატებში ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობას და ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს.

ანგარიშში პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებით ხაზგასმულია, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიებისათვის აუცილებელია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, რომლის შესახებაც საქართველოს სახალხო დამცველი მანამდეც არაერთხელ საუბრობდა თავის რეკომენდაციებში. კვლავ გამოწვევად რჩება დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში დანერგვა, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე მიმართული სისტემის შექმნა. ანგარიშში აღნიშნულია ის პრობლემები, რაც დაკავშირებულია პატიმართა შორის ძალადობასთან, კრიმინალურ სუბკულტურასთან,

პატიმართა მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობასთან, უსაფრთხოებასთან, პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის გადამზადებასთან, ციხეებში არსებულ ფიზიკურ გარემოსთან, სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან, დისციპლინურ სახდელებთან და გარე სამყაროსთან სათანადო კონტაქტის შენარჩუნებასთან.

სამწუხაროდ, კვლავ შენარჩუნებულია წინა წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გამოვლენილი უარყოფითი ტენდენციები. არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით პრობლემად რჩება დაკავების დროს ძალის გადამეტება, დაკავების შემდგომი ძალადობა, პროცედურული უფლებების უგულვებელყოფა, დოკუმენტაციის არასრულფასოვნად წარმოება, ადვოკატის ხელმიუწვდომლობა, დაკავებულის უფლებების შესახებ ინფორმირების საკითხი, სამედიცინო შემოწმებისას კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა და პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება.

ევროკავშირიდან საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების მონიტორინგთან დაკავშირებით სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ფრენის პროცესმა ყველა შემთხვევაში მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუმცა დაფიქსირდა რიგი ხარვეზები დასაბრუნებელ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ესკორტის წევრი ექიმისთვის მიწოდების და დაბრუნების პროცესში ოჯახთან და ახლობლებთან სატელეფონო კონტაქტის უზრუნველყოფის კუთხით.

შშმ პირთა პანსიონატების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობა, ფსიქო-სოციალური სერვისებისა და პროფესიული კადრების ნაკლებობა და დაბალი პროფესიონალიზმი არსებით გამოწვევებს ქმნის შშმ პირთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის შეთავაზების თვალსაზრისით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში ასევე დეტალურად აღწერს, თუ რა ღონისძიებები გატარდა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის, სამუშაო

მეთოდოლოგიის გაუმჯობესების, თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

3.1 განხორციელებული ვიზიტები

3.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები

სოციოლოგიური გამოკითხვა N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“, 2017 წლის 15-16 ივნისს პატიმრების სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს მცხეთის მუნიციპალიტეტის დაბა ქსანში მდებარე N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში.

პროექტი მიზნად ისახავს პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის ხელშეწყობის, პრევენციული ჯანდაცვისა და დაავადებათა პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობის, მათ შორის, შესაბამისი ნორმატიული ბაზის, პატიმრობის პირობების პატიმართა ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და დაავადების რისკ-ფაქტორების შესწავლას და შეფასებას.

N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულებთან გასაუბრება

ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები 2017 წლის 10-11 ივლისსა და 8-9 აგვისტოს ქუთაისში მდებარე N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და თბილისში მდებარე N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულებს გაესაუბრნენ.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით. დამუშავების შემდეგ მოპოვებულ მონაცემები სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში აისახება.

3.1.2 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2017 წლის 12-17 ივლისს მონიტორინგი განახორციელეს იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, ხოლო 14 აგვისტოდან 18 აგვისტოს ჩათვლით კახეთის რეგიონში მდებარე შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და შსს სამმართველოებში.

მონიტორინგების მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ დაკავებულ პირებსა და თანამშრომლებს, შეამოწმეს 2017 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის, დაკავების, გარეგნული დათვალიერების ოქმები და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ბარათები. ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით. შემოწმების შედეგად არაერთი საყურადღებო შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას. ანალოგიურად, პოლიციის სამმართველოებში ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ პასუხისმგებელ თანამშრომლებს და შეამოწმეს დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთა გადაყვანის ჟურნალები, დაათვალიერეს სამმართველოების შენობები, შეამოწმეს, რამდენად ხდება ოჯახის ინფორმირება დაკავების შემდგომ, ხელმისაწვდომია თუ არა ადვოკატი და ექიმი, გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურის შესახებ. მონიტორინგის დროს მოპოვებული დიდი მოცულობის მონაცემები დამუშავების შემდგომ სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში აისახება.

3.1.3 ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

2017 წლის 16 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლმა ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი განახორციელა.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრა გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოს 86 მოქალაქის დაბრუნების პროცესს დაესწრო.

დასაბრუნებელი პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტს გერმანიისა და საბერძნეთის სასაზღვრო პოლიციამ თვითმფრინავის ბორტზე (დიუსელდორფსა და ათენში) გადასცა. პროცესს კოორდინირებას უწევდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი (FRONTEX)“.

დასაბრუნებელი პირების მიღების, შემოწმების და მგზავრობის პროცესის მონიტორინგი უწყვეტად მიმდინარეობდა. დაბრუნების ოპერაციის განმავლობაში რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება არ მომხდარა. დადებითად უნდა აღინიშნოს მიგრანტებისათვის თვითმფრინავის ბორტზე საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემად რჩება დასაბრუნებელი პირების ოჯახთან სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა. წინა მონიტორინგების მსგავსად, აღნიშნული პირების ტელეფონით სარგებლობის უზრუნველყოფა განხორციელდა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ „ფრონტექსის“ წარმომადგენლებისათვის პრობლემის შეტყობინების შემდგომ.

3.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების შეხვედრა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და კახეთის რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადვოკატებთან



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები 2017 წლის 18 ივლისს ქუთაისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის ოფისის წარმომადგენლებთან ერთად შევხდნენ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ხოლო 17 აგვისტოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები სახალხო დამცველის კახეთის ოფისის წარმომადგენლებთან ერთად თელავში შევხდნენ კახეთის რეგიონში სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაკავებულ პირთა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება. თავის მხრივ, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს სახალხო დამცველის მანდატი და საქმიანობის სფერო გააცნეს. მსგავსი შეხვედრები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაგრძელდება.

3.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა



საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტს ციხის გადატვირთულობასთან ბრძოლის კუთხით საქართველოში არსებული გამოცდილება გაუზიარა

2017 წლის 7-8 აგვისტოს, ჟენევაში, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეგორმის“ ორგანიზებით გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანს კომიტეტის მიერ ციხეების გადატვირთულობის საკითხის შეფასების მეთოდოლოგიაზე მსჯელობა წარმოადგენდა. შეხვედრაში საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მომხსენებლად მოწვეული იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ნიკა კვარაცხელია, რომელმაც ისაუბრა ციხის გადატვირთულობის საკითხზე, რაც წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა საქართველოში. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს გადატვირთულობა გამოიწვია მკაცრმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხარვეზებმა.

ნიკა კვარაცხელიამ კომიტეტს შეახსენა, რომ 2012 წლის იანვრისთვის საქართველოში პატიმართა რაოდენობა 24 000-ს შეადგენდა, რაც 2012 წლის დეკემბერში გამოცხადებული ამნისტიის შედეგად რადიკალურად შემცირდა. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამავე პერიოდში დაიწყო სისხლის სამართლის პოლიტიკის გადახედვა, რამაც საბოლოო ჯამში უნდა მოახდინოს პატიმართა რაოდენობის შემდგომი შემცირება.

ამჟამად პენიტენციურ დაწესებულებებში დაახლოებით 9500 პატიმარი იმყოფება. სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმართა რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით საქართველოში კვლავაც მაღალი რჩება და მიიჩნევა, რომ აუცილებელია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია და პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივების აქტიური გამოყენება.

მომხსენებაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ციხის გადატვირთულობის საკითხის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებას, თუ რამდენად აქვს პენიტენციურ სისტემას შესაძლებლობა მიაწოდოს თითოეულ პატიმარს შესაბამისი სერვისები, ვინაიდან რესოციალიზაცია წარმოადგენს სასჯელის აღსრულების ქვაკუთხედს.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებს შორის საინტერესო მსჯელობა გაიმართა. ხაზი გაესვა ადამიანის ღირსების პატივისცემის მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ აუცილებელია

გადატვირთულობის უფრო მოქნილი განსაზღვრებისა და მისი შეფასების სათანადო მეთოდოლოგიის შემუშავება. გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის თავმჯდომარემ იენს მოდვიგმა მაღლობა გადაუხადა მომხსენებლებს საინტერესო მოსაზრებების წარმოდგენისთვის და განაცხადა, რომ კომიტეტი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას გადატვირთულობის შეფასების საკითხზე და ითანამშრომლებს საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებთან, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან, პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

3.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

პრევენციის ეროვნული მექანიზმი განაგრძობს რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის სისტემის დახვეწაზე მუშაობას



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2017 წლის 10-11 აგვისტოს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, ჩატარდა მეორე სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები და წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელი (მრჩეველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სფეროში) ბენ ბაკლენდი.

შეხვედრაზე განიხილეს რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირების და კონტროლის კუთხით ერთიანი სტრატეგიის არსებობის აუცილებლობა, სახელისუფლებო ორგანოებთან დიალოგის შესაძლო ფორმატი, ასევე რეკომენდაციებისა და ზოგადად ანგარიშების წერის დახვეწის გზები.

მონაწილეები გადანაწილდნენ ჯგუფებში და განესაზღვრათ კონკრეტული ამოცანები. სამუშაო

შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით აღნიშნული ჯგუფები მოამზადებენ რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი კონტროლის (Follow-up) ინსტრუმენტებს.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულება მიმდინარე წლის დეკემბერში იგეგმება.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების სასწავლო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2017 წლის 21-25 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები სასწავლო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სომხეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის და დამოუკიდებელი მონიტორინგის საბჭოების (ციხეების და პოლიციის მონიტორინგის საბჭოები) წარმომადგენლებისთვის ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის განხორციელების კუთხით გამოცდილების გაზიარება.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებს ტრენინგი ჩაუტარდათ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების და პაციენტების უფლებების, ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის საერთაშორისო სტანდარტების და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ეფექტური შემოწმების განხორციელების საკითხებზე. ტრენინგს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ყოფილი წევრი ვლადიმირ ორტაკოვი უძღვებოდა.

ტრენინგის დროს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა სომეხ კოლეგებს გააცნეს მათ მიერ შემუშავებული ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგია. გარდა ამისა, ტრენინგის მონაწილეებმა ერთობლივი სასწავლო

ვიზიტი განახორციელეს ნუბარაშენის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

4. ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების შესახებ

4.1 N7 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა

N7 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება მდებარეობს თბილისში, გულუას ქ. № 31. იგი 100 ბრალდებულ/მსჯავრდებულზეა გათვლილი.¹ დაწესებულება განთავსებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში და ფუნქციონირებს 2004 წლიდან.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ დაწესებულებაში წლების მიხედვით არსებული მდგომარეობას. 2004 წლის სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში N7 დაწესებულება მოხსენიებულია როგორც თბილისის მე-7 საპრობილე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის N7 საპრობილე განკუთვნილი იყო განსაკუთრებით საშიში დამნაშავეებისთვის, დაწესებულებაში სასჯელს იხდიდნენ მდიდარი პატიმრების უმრავლესობა. მასში, სხვა დაწესებულებების მსგავსად, გავრცელებული იყო კორუფცია. მდიდარი პატიმრები ფულს იხდიდნენ, რათა უსაფრთხოდ, იზოლირებულად და დაცულად ეგრძნოთ თავი. მე-7 საპრობილეში მოხვედრა პატიმარს დაახლოებით 1500–2000 დოლარი უჯდებოდა.²

2005 წლის სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში საუბარია, რომ N7 საპრობილეში, მონიტორინგის ჩატარებისას, საპრობილის ადმინისტრაციამ რამდენიმე საათით დააკავა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს. N7 საპრობილესთან ადვოკატები საათებით იდგნენ რიგში, რადგანაც დამცველთან შესახვედრად არ იყო საკმარისი ოთახები. პატიმრებს არ ქონდათ გრძელვადიანი და მოკლევადიანი პაემნებით, სარგებლობის

¹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №106 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ 2015 წლის 27 აგვისტო, თბილისი.

² საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2004 წელი, გვ. 36. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/72.pdf> [ბოლოს ნანახია: 21.09.2017].

შესაძლებლობა, რადგანაც დაწესებულებაში არ იყო შესაბამისი ოთახები.

2006 წლის საპარლამენტო ანგარიშში საუბარია N7 საპრობილეში სამედიცინო მომსახურების არარსებობაზე. ასევე, მონიტორინგის შედეგად ფიქსირდება პატიმართა მძიმე მდგომარეობა და მათი უფლებების დარღვევის უამრავი ფაქტი. არ იყო პირადი ჰიგიენის დაცვის პირობები, აუცილებელი ნივთები და საშუალებები. პატიმრები დიდი ხნის განმავლობაში ვერ იღებდნენ შხაპს.

2009 წლის საპარლამენტო ანგარიშში ნათქვამია, რომ N7 საპრობილეში ძირითადად განთავსებული იყვნენ ე.წ. ქურდული სამყაროს წარმომდგენლები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ითვალისწინებდა ამ კატეგორიის პატიმრებისათვის გამორჩეულად მკაცრ პირობებს, რეალურად ისინი სასჯელის უდიდეს ნაწილს საპრობილის რეჟიმში იხდიდნენ.

2010-2011-2012 წლების საპარლამენტო ანგარებში აღნიშნულია, რომ დაწესებულების პირობები არ არის ადაპტირებული გრძელვადიანი განთავსებისთვის; საცხოვრებელი პირობები მძიმეა; საკნების დიდი ნაწილი სარემონტოა, საპირფარეოს მსჯავრდებულები სანთლით ანათებენ. ფანჯრები მცირე ზომის არის, რის გამოც შეუძლებელია სათანადო ბუნებრივი განიავება და ზაფხულში საკნებში ჰაერის უკმარისობა. პატიმრებს არ აქვთ ტელევიზორის ყურების საშუალება. დაწესებულებას არ გააჩნია გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, რის გამოც პატიმრები ვერ სარგებლობენ გრძელვადიანი პაემნებით. №7 დაწესებულებაში არ არის სამრეცხაო, რის გამოც, პატიმრები ტანსაცმელს და თეთრეულს საკნებში რეცხავენ და იქვე აშრობენ.

2013 წელს განხორციელებული ვიზიტისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევების შემდგომ, სახალხო დამცველმა N7 დაწესებულების დახურვის რეკომენდაცია გასცა. 2014-2015 წლებში განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებაში არა თუ არ გამოსწორებულა ვითარება წინა ვიზიტთან შედარებით, არამედ გაუარესდა, ვინაიდან ერთი მესამედით (25 პატიმრით) გაიზარდა პატიმართა რაოდენობა და შესაბამისად დაწესებულება გადაიტვირთა. ამდენად, უცვლელი დარჩა სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით. ანგარიშის ძირითადი მიზანი იყო

დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის დოკუმენტირება და დაწესებულების დახურვამდე, დროებითი ღონისძიების სახით, იმ კონკრეტული ზომების შეთავაზება, რომელთა დაუყოვნებლივ მიღება სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს აუცილებლად მიაჩნდა.

2015 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ N106 ბრძანების შესაბამისად, N7 დაწესებულებას საქართველოში მიენიჭა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სტატუსი.

2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველი მიესალმა 2016 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ N7 დაწესებულებაში სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას, რომელიც შეეხებოდა 2015 წლის განმავლობაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოვლენილ მსჯავრდებულის ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვის შემთხვევებს. შემოწმების შედეგად N7 დაწესებულების დირექტორს და იურისტს დისციპლინური სახდელი დაეკისრა. სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ 2016 წელს N7 დაწესებულებაში პატიმრის ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.


მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში კვლავ იყო მნიშვნელოვანი პრობლემები, შესაბამისად, უცვლელი დარჩა სახალხო დამცველის რეკომენდაცია N7 დაწესებულების დახურვის შესახებ. მიუხედავად დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურული და მძიმე საყოფაცხოვრებო პრობლემებისა, დაწესებულების დირექტორისგან მიღებული წერილობითი პასუხის თანახმად, 2016 წელს N7 დაწესებულებაში რაიმე სახის სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, N7 დაწესებულების დახურვა უმოკლეს ვადებში იგეგმება.

5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

წარმოგიდგენთ N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ 2015 წლის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციას

რეკომენდაციების რაოდენობა

43



2015 წლის N3 დაწესებულების ვიზიტის შემდგომ ანგარიშში გაიცა 43 რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან შესრულდა 2 რეკომენდაცია, რეკომენდაციის შესრულების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 2 რეკომენდაციასთან მიმართებაში. დაწესებულებაში ვითარების დროებით შეცვლის გამო ვიზიტის განხორციელების დროისათვის (2017 წლის 2-4 თებერვალი) არ იდგა პრობლემა 2015 წელს გაცემულ 7 რეკომენდაციასთან მიმართებაში, რის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს 2017 წლის 2-4 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულებაში შემცირებულ პატიმართა რაოდენობა. (30 პატიმარი). 32 რეკომენდაცია კი ვიზიტის პერიოდისათვის არ იყო შესრულებული.

/შესრულებული რეკომენდაციები/

თითოეული პატიმარი უზრუნველყოს 4 კვადრატული მეტრის სიდიდის ფართით

დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი დაწესებულებაში განხორციელებული ორივე ვიზიტის დროს (2016 წლის 23-25 მაისი და 2017 წლის 2-4 თებერვალი) სრულად შეესაბამებოდა საქართველოს „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას.³

/რეკომენდაციის შესრულების მიზნით გადადგმული ნაბიჯები/

მიიღოს ყველა საჭირო ზომა და უზრუნველყოს დაწესებულებაში სათანადო ხელოვნური ვენტილაცია

გაგრძელების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებაში არსებულ საცხოვრებელ საკნებში 2015 წელს დამონტაჟდა კონდიციონერები, რაც მისასალმებელია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ვენტილაციის უზრუნველყოფის პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ცენტრალური სავენტილაციო (გამწოვი) სისტემის ფუნქციონირება.

მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები

2016 წლის 23-25 მაისს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ, სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელება დაიწყო. 2016 წელს სულ 8 სარეაბილიტაციო აქტივობა ჩატარდა, მათ შორის, შემდეგი კურსები: სასტუმრო საქმის მწარმოებელი, გიდი (ტურიზმი), ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, კომპიუტერული გრაფიკა, ვებსპეციალისტი, მცირე ბიზნესის მწარმოებელი, მართვის მოწმობის თეორიული კურსი და ვებდიზაინი. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო ოთხმა მსჯავრდებულმა.⁴ მისასალმებელია, დაწესებულების მხრიდან სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯები, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სარეაბილიტაციო პროგრამები სახალხო დამცველის მიერ ვერ შეფასდება დამაკმაყოფილებელ აქტივობად.

2015 წელს გაცემული რეკომენდაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.⁵

/გარემოებების შეცვლის გამო პრობლემის არარსებობა/

³ „საქართველოს პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“.

⁴ 2017 წლის 18 იანვარს N3 დაწესებულებიდან გამოგზავნილი MOC 7 1700043478 პასუხი.

⁵ ანგარიში ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3290.pdf> [ბოლოს ნანახია: 08.30.2017].

უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება გარემოებების შეცვლის გამო პრობლემის არარსებობა

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში 2016 წლის ივლისიდან პატიმრების რაოდენობის დაახლოებით სამჯერ შემცირების გამო, გაიზარდა ფსიქიატრის მიერ ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა, რაც მისასალმებელია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემის გრძელვადიანი მოგვარებისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

6. საკანონმდებლო მიმოხილვა

6.1 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები

განსაკუთრებული რისკის მატარებელი პატიმრები ყველა ქვეყანაში არსებობენ. მაღალი უსაფრთხოების რისკის კატეგორია ენიჭება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან საპატიმროში გამოვლენილი ქცევიდან.⁶

საშიშროების რისკის დონის მიხედვით მსჯავრდებულთა კლასიფიცირება თავისთავად მოითხოვს მათთვის სპეციალური პატიმრობის პირობების შექმნას. მაღალი უსაფრთხოების რისკის კატეგორიის მინიჭება უნდა გამომდინარეობდეს პატიმართა მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან საპატიმროში გამოვლენილი ქცევიდან.⁷ იმ შემთხვევაში, თუ პატიმრების კლასიფიკაციის სისტემა მოქმედებს ეფექტურად, მითითებული კატეგორიის პატიმრები წარმოადგენენ საერთო პატიმრების ძალიან მცირე ნაწილს. ევროპის წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) დიდ ყურადღებას

⁶ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტი, მე-11 ზოგადი ანგარიში, 2000 წლის 1 იანვარი -31 დეკემბერი, პარა. 32, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ვებგვერდზე:

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680696a75>

[ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

⁷ წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11 ზოგადი ანგარიში, კომიტეტის აქტივობები 2000 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, პარაგრაფი 32, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე:

[http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-](http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#_Toc523890679)

[11.htm#_Toc523890679](http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#_Toc523890679) [ბოლოს ნანახია 07.03.2017].

ანიჭებს პატიმრების აღნიშნულ ჯგუფს და მოითხოვს საგამონაკლისო, განსაკუთრებული ზომების მიღებას, რადგანაც ისინი სხვა პატიმრებთან შედარებით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან.⁸

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 27-ე წესის შესაბამისად, „დისციპლინა და წესრიგი მკაცრად უნდა იყოს დაცული, თუმცა, შემოდგომულ უნდა იქნას მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და დაწესებულებაში თანაცხოვრების სათანადო წესების დასაცავად“⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თავისი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, თანმიმდევრულად უჭერს მხარს პოზიციას, რომ პატიმრები, ზოგადად, აგრძელებენ კონვენციით გარანტირებული ყველა ფუნდამენტური უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობას გარდა თავისუფლების უფლებისა. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის აუცილებლობა საფუძვლიანად უნდა იყოს დასაბუთებული ინდივიდის ქცევიდან გამომდინარე.¹⁰

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66² მუხლის შესაბამისად, „განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომელიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფთ, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებას“.¹¹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ N106 ბრძანების შესაბამისად, N3, N6, N7 დაწესებულებებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სტატუსი მიენიჭა.

⁸ წამების პრევენციის ევროპული მე-11 ზოგადი ანგარიში, პარა. 32.

⁹ გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 27.

¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განჩინება საქმეზე *ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ (Case of Khoroshenko v. Russia)*, პარ. 116.

¹¹ საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 66.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პოლიტიკას. არსებული მიდგომებით, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება გამოიყენება, როგორც სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებზე დაფუძნებული, შეზღუდვების, აკრძალვებისა და უპირობოდ მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებას, რეაბილიტაციას და, შესაბამისად, საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

6.2 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 27-ე წესის შესაბამისად, „დისციპლინა და წესრიგი მკაცრად უნდა იყოს დაცული, თუმცა, შემოღებულ უნდა იქნას მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და დაწესებულებაში თანაცხოვრების სათანადო წესების დასაცავად“¹²

სახალხო დამცველი მიესალმება პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანას, რომელიც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულების უფლებების გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს თვის განმავლობაში 2 სატელეფონო ზარის განხორციელების უფლება მიეცათ.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება მიენიჭათ წლის განმავლობაში ერთხელ და წახალისების სახით დამატებით კიდევ ერთხელ.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს წინასწარი შეთანხმების გარეშე, სახალხო დამცველის ცხელ ხაზსა და ადვოკატთან დარეკვის უფლება მიეცათ.¹³

¹² გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 27.

¹³ საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია [12](#)

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ცვლილებებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, მაქსიმალურად იყვნენ უზრუნველყოფილნი იმ უფლებებით, რომლითაც სარგებლობენ სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები.

7. ფოკუსი

7.1 შშმ პირთა პანსიონატების მონიტორინგი

2016 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველისთვის მინიჭებული ორი მნიშვნელოვანი მანდატის – პრევენციის ეროვნული მექანიზმის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის აღსრულების მონიტორინგის მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში.¹⁴

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს ხუთ რეზიდენტულ დაწესებულებაში: თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში, ძეგრის, დუშეთისა და მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატებში განთავსებული ბენეფიციარების უფლებათა დაცვის ხარისხი შეამოწმეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან, სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მისი შესაბამისობის მიხედვით.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობა, ფსიქო-სოციალური სერვისებისა და პროფესიული კადრების ნაკლებობა და დაბალი

შემდეგ მისამართზე: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/152247?>
¹⁴ მონიტორინგის შედეგები ვრცლად ასახულია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში „შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში“ ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3958.pdf> [ბოლოს ნანახია: 07.08.2017].

პროფესიონალიზმი არსებით გამოწვევებს ქმნის შშმ პირთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის შეთავაზების თვალსაზრისით.

გამოწვევას წარმოადგენს არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, გარესამყაროსთან და ოჯახებთან (მათ შორის შვილებთან) კონტაქტის სიმწირე, სოციალური პასიურობა და საზოგადოებისგან იზოლაცია, ასევე დაწესებულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარვეზები და სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული პრობლემები.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბენეფიციართა უსაფრთხოებაზე, მათ ემოციურ, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ასევე სერვისის მიმწოდებელთა მიერ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციებისა და სტანდარტების ცოდნის დონე უკიდურესად დაბალია. ბენეფიციარები არ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ. დაწესებულებების ხელმძღვანელებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება არ მიაჩნიათ ზრუნვის მნიშვნელოვან სტანდარტად.

შემაშფოთებელია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ბენეფიციართა უფლებების უხეში დარღვევების, მათ შორის, დისკრიმინაციული მოპყრობის მაპროვოცირებელი ხდება, ზოგჯერ კი იწვევს შშმ პირთა სიცოცხლის უფლების დარღვევას.

გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა შეიმუშავა რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების და ბავშვთა სახლების ადმინისტრაციის მიმართ.

სპეციალურ ანგარიშში ასახული რეკომენდაციების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში, პანსიონატების ნაწილში ვითარება არსებითად არ შეცვლილა. მონიტორინგის შემდგომ პერიოდში სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია მარტყოფის პანსიონატიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სტაციონირების გაზრდილი დინამიკის თაობაზე.¹⁵ ასევე ამავე პანსიონატის

ბენეფიციარებს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ.¹⁶

მოცემული საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება არის გადატვირთული. მძიმე შეზღუდვის მქონე პირების, ფსიქიკური და ქცევითი პრობლემების მქონე პირების ერთდროულად მართვის ბერკეტი კი ადმინისტრაციას არ გააჩნია, ბენეფიციარებს შორის კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების გავრცელებული ფორმაა მათი გადაყვანა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ან მუქარა გადაყვანაზე.

მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში არსებული პრობლემების მოგვარების თაობაზე შემუშავდა რეკომენდაცია სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიმართ.¹⁷

8. ექსპერტის მოსაზრება

წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელის (მრჩეველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სფეროში) ბენ ბაკლენდის მოსაზრებები: „დიალოგი: საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტურობის გასაღები“



ფოტო: წამების პრევენციის ასოციაცია

2009 წლიდან სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

¹⁶ საქმე N14098/16–02.11.2016.
¹⁷ იხ. <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/rekomendacia-martyofis-shezguduli-shesadzleblobis-mqone-pirta-pansionatshi-arsebuli-problemebis-taobaze.page> [ბოლოს ნანახია: 07.08.2017].

¹⁵ საქმე N11746/16–12.09.2016; N12558/16–28.09.2016; N14619/16–14.11.2016.

როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი, სახალხო დამცველის მანდატი მანამდეც გულისხმობდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე მუშაობას, მათ შორის თავისუფლებადკვეთილ პირებთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბებამ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, როგორც ინსტიტუციის მუშაობის, აგრეთვე სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სისტემურ მიდგომას. იგი ახდენს არასათანადო მოპყრობის გამომწვევი სხვადასხვა რისკ-ფაქტორების შესწავლასა და შეფასებას, რაც რისკ-ფაქტორების აღმოფხვრასთან ერთად პროცედურული გარანტიების გაძლიერებასა და კარგი პრაქტიკის დამკვიდრებას გულისხმობს.

ისეთი ომბუდსმენის ინსტიტუტების საქმიანობა, როგორც სახალხო დამცველია, ტრადიციულად უკვე გამოვლენილ პრობლემებზე რეაგირებისკენ არის მიმართული. მათი საქმიანობა მოიცავს საჩივრების, განცხადებების მიღებასა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას ინდივიდებისა და სხვადასხვა ჯგუფებისათვის. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა მოიცავს პროაქტიულ მოქმედებას მანამდე, სანამ დაფიქსირდება წამება ან არასათანადო მოპყრობა და გულისხმობს წამებისა და არასათანადო მოპყრობის ადრეული ნიშნების იდენტიფიკაციას. ინდივიდუალურ საჩივრებზე რეაგირების ნაცვლად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფოკუსს წარმოადგენს სისტემური საკითხების შესწავლა და შესაძლო დარღვევის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება.

თუმცა, ამ მოკლე სტატიის მთავარი თემა არის კიდევ ერთი რამ, რაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიდგომას უნიკალურს ხდის. გზა, რომელშიც პრევენციის ეროვნული მექანიზმი ეძებს გამოსავალს, დაფუძნებულია დიალოგზე და თანამშრომლობაზე.

როდესაც სახელმწიფოები პირველად განიხილავდნენ ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებულ პრევენციის ეროვნული მექანიზმების შექმნის იდეას, ბევრი შიშით უყურებდა დამოუკიდებელი მექანიზმის მხრიდან თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის ადგილებში პრევენციის ეროვნული მექანიზმების შეუზღუდავი წვდომის უფლებას.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის თვითმიზანს არ წარმოადგენს ცუდი სიტუაციების დემონსტრირება ან ვინმესკენ „თითის გაშვება“, მექანიზმის მიზანია იმუშაოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რათა გაუმჯობესდეს პატიმრობაში მყოფ პირთა და დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. ის, რომ გარკვეულ ცვლილებებს დიდი დრო სჭირდება, გათვალისწინებულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის გრძელვადიან ხედვაში.

იქედან გამომდინარე, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფოკუსს ადამიანის ღირსების დაცვა წარმოადგენს, ხელისუფლების წარმომადგენლები დიალოგისა და დისკუსიის ფარგლებში უპირატესობას ანიჭებენ პრობლემის ისეთი გადაჭრის გზების ძიებას, რომლებიც მათაც ეხმარებათ პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

მაგალითისთვის, პოლიციის მხრიდან პირის გამოკითხვისას ან დაკითხვისას, როდესაც წამების ან არასათანადო მოპყრობის რისკი ყველაზე მაღალია, საფრთხის შემცირების სხვადასხვა მეთოდებს შორის, ეფექტურია საგამომიებო ინტერვიუების ტექნიკა და მთელი პროცესის აუდიო და ვიდეო ჩაწერა. მაშინ, როდესაც აღნიშნული ორი მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკს, ის ასევე მნიშვნელოვანია პოლიციისათვის. საგამომიებო ინტერვიუებას მივყავართ უფრო სანდო ინფორმაციამდე, ასევე გვხმარება ნამდვილი დამნაშავის იდენტიფიკაციაში. ინტერვიუების ოთახში არსებული სიტუაციის ჩაწერა პოლიციელებს მათ მიმართ წაყენებული ცრუ ბრალდებებისაგან თავის დაცვაში ეხმარება.

დეტალური ვიზიტების ჩატარებით, დაკავებულებთან და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებით, პრევენციის ეროვნულ მექანიზმს პრობლემების იდენტიფიცირების შესაძლებლობა აქვს; შესრულების კონტროლის (Follow Up) მექანიზმის ფარგლებში შეუძლია დიალოგის ფორმატში განიხილოს რეკომენდაციების შესრულებისკენ მიმართული ღონისძიებები და მიაღწიოს გარკვეულ შეთანხმებას შესაბამისი ინსტიტუციების წარმომადგენლებთან, რაც ყველას საუკეთესო ინტერესებშია.

ხელისუფლებასთან დიალოგის გარდა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს ასევე

წარმოადგენს სახალხო დამცველის ოფისის სხვა დეპარტამენტებთან თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ საჩივრებს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი სწავლობს, გამოვლენილ სისტემურ საკითხებს პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად განიხილავს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიდგომა კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომლობის ელემენტებს მოიცავს, რაც ფაკულტატიური ოქმის შესრულების წინაპირობაა.

9. საერთაშორისო სიახლეები

წამების აღმოფხვრას ესაჭიროება გაეროს ყველა წევრი ქვეყნის ახალი ძალისხმევა - გაეროს ექსპერტების განცხადება

ჟენევა (2017 წლის 23 ივნისი) - იმ დროს, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით წამების აბსოლუტური აკრძალვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების სახელით, გაეროს ადამიანის უფლებების ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ წამება წარმოადგენს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას და მოუწოდებენ სახელმწიფოებს აღმოფხვრან მისი პრაქტიკის ხელშემწყობი პირობები და გარემოებები.

26 ივნისს წამების მსხვერპლთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, გაეროს ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ წამების აკრძალვა „აბსოლუტურია“ და მისი გამოყენება არცერთ ვითარებაში და გარემოებაში არ შეიძლება იქნეს გამართლებული.

„წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აბსოლუტური აკრძალვა შეიძლება კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ჩაითვალოს,“ - აღნიშნავს გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში ნილს მელზერი. „ნებისმიერი შემწყნარებლობა ან დაშვება, რაც არ უნდა გამონაკლისს და კარგად დასაბუთებულს წარმოადგენდეს, აუცილებლად გამოიწვევს კაცობრიობის შერცხვენას.“ ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ წამება არღვევს როგორც მსხვერპლის, აგრეთვე დამნაშავეს ფუნდამენტურ ღირსებას.

„წამების აბსოლუტური აკრძალვის უზრუნველყოფა ყველა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს. თუმცა, ყველა

სახელმწიფო არ ახორციელებს ამას ისე, როგორც აუცილებელია. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ეფექტური ზომები წამების ფაქტების აღსაკვეთად. წამების წინააღმდეგ კონვენცია და მისი ფაკულტატიური ოქმით შექმნილი სისტემა წარმოადგენს ძლიერ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს წამების პრევენციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, მოახდინონ ამ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის რატიფიცირება.“, - ამბობს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე სერ მალკოლმ ევანსი. წამების აკრძალვის მოთხოვნის გარდა, ექსპერტებმა ასევე შეახსენეს სახელმწიფოებს მათი ვალდებულებები დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და სამართლიანი კომპენსაციის უზრუნველსაყოფად.

გაეროს წამების მსხვერპლთა ნებაყოფლობითი ფონდის თავმჯდომარის გაბი ორე აგილარის განცხადებით, „სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, წამების აბსოლუტური აკრძალვა. ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა შეასრულონ თავიანთი ვალდებულება წამების მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრებისათვის ეფექტური და სწრაფი რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც მსოფლიოში ათასობით წამების მსხვერპლთა დასახმარებლად შესაბამისი რესურსების მობილიზებას გულისხმობს.“

წამების აღმოფხვრა მოითხოვს გაეროს წევრი სახელმწიფოების მხრიდან განახლებულ ძალისხმევას, რათა აღმოფხვრას ის პირობები და გარემოებები, რომელიც ხელს უწყობს წამების პრაქტიკას. ყველა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი გარანტიების დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობაში. აღნიშნული ძალისხმევის მნიშვნელოვან ნაწილს უნდა შეადგენდეს დაზარალებულთა უფლებების აღდგენა და რეაბილიტაცია.¹⁸

¹⁸გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, გაეროს ექსპერტების განცხადება, ჟენევა (23 ივნისი 2017 წელი), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე:

<http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=21794&LangID=E> [ბოლოს ნანახია: 9.01.2017].



პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2017 წელი

2009 წლის 16 ივლისს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველის ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.

კონტაქტი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876

ფაქსი: +99532 913841

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ვებ-საიტი: www.ombudsman.ge

ბათუმი:

მაზნიაშვილის ქუჩა N9

ტელ: 0422 27 05 44

მობ: 577 50 52 31

ზუგდიდი:

კოსტავას 58

ტელ: 0415 22 36 11

მობ: 577 50 52 34

ახალქალაქი:

ჭავჭავაძის ქუჩა 4

ტელ: 0362 22 32 83

მობ: 577 12 27 70

თელავი:

ჩოლოყაშვილის ქ.3

ტელ: 0350 27 99 27

მობ: 591 88 35 38

ქუთაისი:

რუსთაველის ქ. 18

ტელ: 0431253350

მობ: 577 55 33 81

გორი:

სამების ქუჩა N1

ტელ: 0370270549

მობ: 577 78 27 42

მარნეული:

რუსთაველის ქუჩა N51

ტელ: 0357 221970

ოზურგეთი :

დავით აღმაშენებლის N9

ტელ: 0496 27 30 53

ზემო სვანეთი:

მესტია სეტის მოედანი

მობ: 596 174141